საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2015 წლის 4 დეკემბრის

დადგენილება № 1827

2015–2016 სასწავლო წლის ოქტომბრის,
ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ის
ბაკალავრატის წარჩინებული სტუდენტებისათვის
სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 დეკემბრის N1214 ბრძანებით სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 2015 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო 706 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2014–2015 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:

   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81% და მეტს;

   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე–3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში,

გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე